№ 215

ოთხშაბათი, 30 ნოემბერი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 215

ოთხშაბათი, 30 ნოემბერი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ.. წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

კვირას, 4 დეკემბერს, ვეტცლის თეატრში წაკითხულ იქნება

რეფერატი

ბ-ნ განჯელის მიერ:

I

თანამედროვე საზოგადოებრივი მოძრაობა და პოლიტიკური პარტიები.

II

შალ. გოგელიასაგან.

კრიტიკა დიალექტიკისა და მარქსის ეკონომიურ მონიზმისა.

ბილეთები ისყიდება „ივერიის“ რედაქციაში, გრ. გოგელიასთან.

დასაწყისი საღამოს $5^1/_2$ საათზე.

ხალხის მტრები კბილს ილესავენ

—

წარმოუდგენელი ბარბაროსობა დატრიალდა ტფილისში. თათრებსა და სომხებს შორის ატეხილმა შუღლმა აქაც თავი იჩინა. ამ ორის ხალხის შეტაკებამ ისეთი ბარბაროსული სახე მიიღო, ისეთ ვერაგულ მოქმედებით გამოიხატა, რომ მუშებს, ხალხის მებრძოლ ავანგარდს, არ შეეძლოთ გულგრილად ეცქირათ ამ ხოცვა-ჟლეტისათვის. მათ ამ საქმეში ჩარევას მოითხოვდა მოქალაქობრივი მოვალეობა, რომელიც გვავალებს, ყოველ მოქალაქის სიცოცხლე უშიშარ და უზრუნველყოფილი გავხადოთ; მათს ჩარევას მოითხოვდა დაბრმავებულ თათარ და სომეხ მუშების—მათი მომავალ ამხანაგების—სიცოცხლის დაცვა. ამასვე მოითხოვდა განსაკუთრებით რევოლუციონურ ბრძოლის ინტერესი.

თათარ-სომეხთა შეტაკება დღევანდელის სახით უარმყოფელია ყოველ მოქალაქობრივ ცხოვრებისა. ის უარესია თვით ომზე, რომელსაც შემუშავებული აქვს თავისი „ეთიკა“ და ბევრ შემთხვევაში ხოცვა-ჟლეტის სისასტიკეს ამცირებს. ამ შეტაკებას ჩვენ ერთბაშად გადავყევართ ისტორიის წარსულში,—ის გვიქადის ბარბაროსობა დაგვიბრუნოს. აშკარაა, შეგნებული ხალხი, რომელიც შემქმნელია მომავლისა, ამ წარსულის ბარბაროსულ ძალების შეტაკებას გულ-გრილად ვერ შეხედავს. ამ ბნელ ძალების, ბნელ მოქმედების გაღვივება მუშათა განმათავისუფლებელ საქმის დაღუპვაა. ამიტომაც ტფილისის შეგნებული პროლეტარიატი, როგორც კი შეტაკება დაიწყო, ფიცხლავ შეეცადა, ორი მებრძოლი მხარე შეეჩერებინა და ატეხილი შუღლი ჩაექრო.

მაგრამ რა ზომებისათვის უნდა მიემართა მას? ადვილი გადასაჭრელია საქმე, როცა ორ მებრძოლთა შორის ერთის მიკედლება შესაძლოა. მაშინ,—გაიმარჯვებ თუ დამარცხდები,—მაინც გზა გარკვეული გაქვს. აქ ასეთი მიკედლება კი შეუძლებელია. ორივე მხრივ სდგას ნაციონალისტურ შოვინიზმით შეპყრობილი ბრბო და ერთი მეორეს შთანთქვას უქადის, ერთი მეორის არა მარტო დამარცხებას, არამედ დედამიწის ზურგიდან აღმოფხვრას ესწრაფვის. ცხადია, აქ ორივე მხარე ერთის ხასიათისაა, ერთგვარია როგორც მისწრაფებით, ისე იმ ზომებით, რომელთაც ისინი მიმართვენ თავის მისწრაფებათა განსახორციელებლად. აშკარაა, რომ მუშა ხალხის სურვილი აქ მხოლოდ ერთია: შესწყვიტოს ხოცვა-ჟლეტა, შეაჩეროს ორივე გაფთრებული მხარე და მშვიდობიანობა ჩამოაგდოს.

მუშათა პარტიამ იკისრა კიდეც ის საქმე და თავგანწირულებით ჩადგა მებრძოლთა შორის. მარა მისმა მეცადინეობამ სადღეისოდ საწადელს ვერ მიაღწია. დაიღვარა თავგანწირული მუშის სისხლი, შემრიგებლისა და დამამშვიდებლის როლის მტვირთველს საბრძოლველად გაუხდა საქმე. ვისაც კი ცოტაოდენი სამართლიანობა შერჩენია, ვინც კი ცოტაოდნად მაინც აფასებს მოქალაქობრივ გრძნობის სიფაქიზეს და სიმაღლეს, ის ყოველთვის პატივისცემით და აღტაცებით მოიხსენიებს მუშების თავგანწირულობას ამ საქმეში.

სულ სხვანაირად შეხედეს საქმეს საზოგადოების ნაძირალებმა—ხულიგნებმა. მუშების შეიარაღება მათ შეურაცხყოფად მიიჩნიეს, მუშების საქმიანობა თავის „უფლებათა“ შელახვად დასახეს. დაიწყო ძველებური, ხულიგნური პრობაგანდა. ხულიგნები გაორკეცებულის ძალით მზადებას შეუდგნენ. საზოგადოება, მთელი შეგნებული ნაწილი განსაცდელში ვარდება. ერთის მხრით თათარ-სომეხთა თარეში, მეორე მხრით—ხულიგნურ ნაძირალთა ამოძრავება და „ბრძოლისათვის“ სამზადისი. რეაქციის ყველა ძალები აშკარად გამოდიან საბრძოლველად, ყველა ბარბაროსები ემზადებიან თავის ვერაგობით ჩააქრონ რევოლუციის ტალღები. მოგველის ბრძოლა, ბრძოლა სასტიკი, ულმობელი. მით უფრო საჭიროა ძალღონის გაორკეცება, მით უფრო საჭიროა ყველა ძალთა—თავის მოყრა და საერთო ბრძოლა შავ-ბნელ ძალებთან.

მაშ მოემზადეთ ყველანი, ვისაც კი მოქალაქობრივი გამბედაობა შეგწევთ. თავისუფლება მსხვერპლს ითხოვს, იგი უმსხვერპლოდ არ მოიპოვების!

ბ.

ფინანსები და რევოლუცია

—

თვითმპყრობელობის მოტრფიალე მთავრობას ხელიდან ორი უკანასკნელი იმედი ეკლება: ჯარი და უცხოელების ნდობა.

რუსეთიდან მოსული ამბები გვიმტკიცებენ, რომ კრონშტადტელ ზღვაოსნებისა და შავი ზღვის ფლოტის აჯანყება გამომხატველი იყო იმ ძლიერ განმანთავისუფლებელ მოძრაობისა, რომელიც რუსეთის სხვადასხვა კუთხეში მყოფ ჯარებს მოედო. ჯარი აჯანყდა! ის ჯარი, რომელიც წინედ ადმინისტრაციის მოხელეთა ბრძანებითაც კი ხალხს ესეოდა და ჰკლავდა თავისუფლებისათვის მებრძოლთა გუნდებს, ის ჯარი, რომელზედაც აშენებდა მთავრობა ხალხის დამონებასა და დაჩაგვრას, ახლა ბევრგან წითელ დროშას აფრიალებს და ხალხს გვერდით ამოსდგომია. ჯარებში მოძრაობა საკვირველის სისწრაფით ვრცელდება და ამითი ეცლება თვითმპყრობელობას ის ბურჯი, რომელიც მას ყოველთვის საიმედოდ მიაჩნდა. მახვილი, ხალხისთვის მომზადებული, ახლა ბევრგან მთავრობის საწინააღმდეგოდ მიმართულია.

მაგრამ ჯარის აჯანყებაც მთავრობას გამარჯვების უკანასკნელ იმედს ვერ მოუსპობდა. სანამ მას ფული აქვს ხაზინაში, სანამ ხალხი კიდევ გადასახადს მორჩილად იხდის, სანამ ხალხს ხაზინაში შესანახავად ფული შეაქვს და სანამ არის ისეთი ფულის პატრონი, რომელიც ფულს ანდობა გაჭირვებაში ჩავარდნილ მთავრობას, მანამდის გამოჩნდება ყოველთვის მთავრობის მომხრენი, მისგან ჯამაგირისა და ჯილდოს მიღების მოიმედენი. ფულის იმედით მთავრობა აქა-იქ უკმაყოფილოს კმაყოფილად გახდის, მოთხოვნილებათა შესრულებით ერთგულად გახდის იმას, ვინც ცხოვრებაში ხელმძღვანელობს პირად ანგარიშებით და არა პრინციპით, ვინც თავის ან ცოლ-შვილის სარჩენად სამსახურს ეძებს...

და აი ახლა მთავრობა ამ მხრივაც ხიფათში ჩავარდა. რუსეთში გლეხობა გადასახადზე უარს აცხადებს... დამფუძნებელ კრების მოწვევამდის, უარს ამბობს არაყის სმაზე, რათა ამითი შეუმციროს შემოსავალი ხაზინას: მუდმივი გაფიცვები, მრეწველების და საზოგადოდ აღებ-მიცემობის მოდუნებას ხაზინისათვის დიდი ზარალი მოაქვს, შეშინებული ხალხი ხაზინაში შეტანილ ფულს უკანვე იტაცებს, მდიდარი და ღარიბი ხაზინას კარზე ადგია და ეუბნება მობარებული ფული უკანვე დამიბრუნეო, მომქმედი ორგანიზაციები ხალხს ურჩევენ, თუ გინდათ მთავრობის წინააღმდეგობა, ხაზინიდან ფული გამოიტანეთ და ხაზინაში ფული ნუ შეგაქვთო.

ერთის სიტყვით, ხაზინა იცლება და საზღვარგარეთი, სადაც რუსეთის მთავრობას აუარებელი ფული ნასესხები აქვს, თანდათან უფრო მეტის უნდობლობით ექცევა რუსეთს. გაისმის აქა-იქ ხმები, რომ ევროპის სახელმწიფოები უნდა ჩაერიონ რუსეთის შინაურ ცხოვრებაში და თავიანთ კაპიტალისტების ინტერესები დაიცვან.

უცხოეთში ნდობის დაკარგვა უფრო საშიშია მთავრობისათვის, ვიდრე სხვა რამე. უცხოეთში ვერც ძალა გასჭრის, ვერც ტყუილი დაპირება და მომავლის იმედი. უცხოეთის კაპიტალისტი თავის სესხში ნაღდ ფულს სთხოვს, ნაღდ ფულს ოქროთი და არა ქაღალდის ფულით და მთავრობას თუ ფული არა აქვს, თავი გაკოტრებულად უნდა გამოაცხადოს და, უცხოელების მოთხოვნით, ადგილი დაუთმოს იმ ახალ მთავრობას, რომელიც ახალ წესწყობილების შექმნით ხალხის გულს მოიგებს და მოახერხებს ვალების გაძლოლას.

ფინანსიური დამარცხება მანჯურიაში მხედრობის დამარცხებაზე და შინ პოლიტიკურ დამარცხებაზე უფრო საშიშია მთავრობისათვის. ფინანსიური დამარცხება უდიდესი ნაბიჯია ხალხის სრულ გამარჯვებისკენ. უფულო, გაკოტრებულ მთავრობას, ხაზინის ცალიერ ზანდუკების შემაცქერალს ვერ უერთგულებს ვერავინ, თვითმპყრობელ მთავრობის მომხრეებს უჯამაგირობისა გამო შიმშილით კუჭი რომ აეწვებათ, თვითონ დაიძახებენ, ასეთი პატრონი აღარ გვინდაო, და ხალხის გამარჯვებაზე თვითონვე ვაშას დაიძახებენ.

ხაზინა ცალიერდება, გამარჯვება აუცილებელია.

კ. ხ.

მოწოდება

—

მოქალაქენო! განმათავისუფლებელი მოძრაობა დღითი-დღე ძლიერდება. ძველი წესი ნელნელა სთმობს პოზიციებს და უბრძოლველად იარაღს არ ჰყრის. თქვენ ხედავთ, რამდენ მსხვერპლს თხოულობს ეს ბრძოლა. თქვენ ხედავთ, რამდენი ოჯახი დაობლდა, რამდენი უპატრონო ცოლ-შვილი დარჩა, გუშინ გურია და ქართლი აიკლეს ჯარებმა; ხვალ, შეიძლება, უარესი მოუვიდეს ქართლსა და კახეთს. გუშინ ხულიგნებმა ტფილისი ააწიოკეს; დღეს, შეიძლება, იგივე მოელის სხვა ჩვენ ქალაქებსა და დაბებს. ასეთია ის ულმობელი და დიდებული ბრძოლა, რომელიც ხალხმა გამოაცხადა თავის განთავისუფლებისათვის! ამხედრებული ხალხი უთუოდ გაიმარჯვებს: მაგრამ ბევრს განიცდის, დიდ გაჭირვებას ნახავს, სანამ დიდებული მზე გამობრწყინდება.

და აი, ამიტომ, ყველა პატიოსან და შეგნებულ მოქალაქის ვალია თავის მხრით დახმარება აღმოუჩინოს ამ მოძრაობაში დაზარალებულთ, მათ ობლებსა და ქვრივთ, მათ აწიოკებულსა და დარბეულს ოჯახებს.

სწორედ ამ მიზნით დაარსდა ტფილისში განსაკუთრებული ფონდი, რომელმაც დახმარება უნდა აღმოუჩინოს საქართველოში ყველა ხსენებულ დაზარალებულთ, განურჩევლად ეროვნებისა. ფონდის საქმეს განაგებენ ყველა ქართულ რედაქციებისა, და წესებულებათა სხვადასხვა ორგანიზაციათა წარმომადგენელნი

და აი, ამ ფონდის ბიურო მოგმართავთ ყველა მოქალაქეთ თხოვნით: თქვენ-თქვენი წვლილი (ერთ დროებით და ყოველ თვიურად) მიაწოდეთ მას! ბიურო მოგაგონებთ, რომ ეს არის თქვენი ზნეობრივი მოვალეობა, ეს არის თქვენი მოქალაქობრივი ვალი. გახსოვდეთ, რომ ასეთ დროში ყოველმა ადამიანმა მტკიცედ უნდა აასრულოს თავისი მოვალეობა და თავის მხრითაც მიიღოს მონაწილეობა საერთო საქმეში!..

შემოწირულებას მიიღებენ ყველა ქართული რედაქციები და აგრეთვე ბიუროს აღმასრულებელ კომიტეტის წევრები: ი. ს. გოგებაშვილი (ვეძინის ქ., № 1); გ. მ. ლასხიშვილი („ცნ. ფ.“ რედაქციაში); ბ-ნი ივ. დურგლიშვილი (დიდუბე, შერემ. ქ., ქუთაისის სათავ.-მამ. ბანკის სახლი) და ხაზინადარი ბიუროსი ვ. ი. რცხილაძე (ამხ. „კახეთის“ კანტორა, დვორც. ქ., თამამშ. სახლი). შემოწირულებათა და იმის განაწილების ანგარიშები გაზეთებში დაიბეჭდება ხოლმე.

ბიუროს აღმასრულებელი კომიტეტი.

ყაზარმებიდან

(მოძრაობა ტფილისის მეციხოვნე ჯარში)

ტფილისის მეციხოვნე ჯარის კაცებმა დააარსეს „ჯარის კაცთა კავშირი“, რომელიც შეუდგა კიდეც აქტიურს მოქმედებას. „კავშირმა“ უკვე რამდენიმე პროკლამაცია გამოსცა თავის თანამოძმე ჯარის კაცებისა და კაზაკებისადმი.

აი, ერთი პროკლამაცია, რომლითაც ჯარის კაცებმა კაზაკებს მიჰმართეს:

„ძმებო-კაზაკებო! ჩვენ, ყველა დაბალი მხედრობა—კაზაკებიცა და ჯარის-კაცებიც—ძლიერ ცუდად, საძაგლად ვცხოვრობთ.

თითოეულს ჩვენგანზე **ხარჯავენ დღეში** 12 კაპ., მერე შეუძლიან ადამიანს 12 კაპეიკით დღეში ცხოვრება? რასაკვირველია, 12 კაპეიკით ბევრს ვერაფერს ვიყიდით. ამიტომ ჩვენ გვაძლევენ ისეთს მყრალსა და ატალახიანებულს ფაფას ანუ სუპს, რომელშიაც მხოლოდ კარტოფილის რამდენიმე ნაფლეთია და თითო ნაჭერი დამპალი, აყროლებული ხორცი. ჩვენი ტანსაცმელიც ყოვლად უვარგისია—ეს ტანისამოსი კი არა, რაღაც ჩვრები, რაღაც ტომრებია! და თქვენ კი, ძმებო-კაზაკებო, ამასაც არ გაძლევენ: თქვენ გაიძულებენ, თქვენის საკუთარის ხარჯით იყიდოთ ტანისამოსიც, ცხენიცა და თოფიც.

სწორედ პირუტყვივით აბუჩად აგდებული ვართ. გვცემენ და ყოველმხრივაც გვამცირებენ. ბატონი აფიცრები ხანდახან ჩვენს ყურისძირებზე ხელებსაც იქავლებენ და სიამოვნებენ; სრულებით უმნიშვნელო რამეზე კარცერში გვამწყვდევენ და ხანდახან სრულიად უდანაშაულოდ გვხვრეტავენ კიდეც. ჩვენ ყოველ წუთში დახვრეტის მოლოდინში ვართ. მაგალითად, ქუჩაში მიდიხართ ნაცნობთან ერთად, ხედავთ—მოდის ბ-ნი გენერალი. უნდა გამოექიმო წინ ვირივით და „ჩესტი“ აუღოთ, ისე რომ, ადგილიდან არ დაიძრა, სანამ არ გაივლის. თუ „ჩესტი“ არ მიეცი უფროსებს, ჩაგბანდი კარცერში ორის კვირით; თუ შემოწმების დროს ყაზარმაში ხუთის წუთით დაიგვიანე,—კიდევ კარცერში გიკრავენ თავს. ვთქვათ, თავისუფალ დროზე სადმე სასეირნოდ მიდიხარ; შეგხვდება აფიცერი და გეტყვის: „ეი, სოლდათო, აქ მოდი; ჩქარა, ახლავე გაიქეცი ამა და ამ ალაგას, იქ ჩემს ცოლს ქოლგა დაავიწყდა და ამ წუთშივე აქ მოიტანე“. არ წახვალ, არ დაუჯერებ,—„ბუნტოვშჩიკი“ ხარ, გიკრავენ თავს გამასწორებელ როტაში. ამას კიდევ ვინა სჩივის,—შეიძლება დისციპლინარულ ბატალიონშიაც გაგგზავნონ. აი, როგორი მწარე და აუტანელია ჩვენი ცხოვრება! მიმოიხედეთ გარშემო და დაინახავთ, რომ ჩვენზე უკეთესად ყველა ცხოვრობს. ჩვენ, ძმებო-კაზაკებო, პირუტყვსა და აფიცრის ძაღლზედაც კი უფრო ცუდად ვცხოვრობთ. რა ვქნათ, ნუ თუ სამუდამოდ ასეთები უნდა დავრჩეთ? ნუ თუ ჩვენი ბავშვებიც ასე უნდა ეწვალნენ? არა, არა! ჩვენ უნდა შევსცვალოთ ჩვენი მდგომარეობა; აწი ასე ცხოვრება არ შეიძლება. მაგრამ არ იფიქროთ, რომ აფიცრებმა თავისით მოგვცენ და დაგვითმონ რამე. არა ჩვენ ისინი არაფერს მოგვცემენ და კიდევ უფრო გაგვტანჯავენ და გვაწამებენ, სანამ ასე მონურად ქედმოხრილნი ვიქნებით. მაგრამ ჩვენ—კაზაკებმა და სალდათებმა,—ჩვენ თვითონ უნდა მოვკიდოთ ჩვენს საკუთარ საქმეს ხელი: დიაღ, ჩვენ თვითონ, კაზაკებმა და სალდათებმა, არ უნდა დავუცადოთ იმ დროს, როდესაც აფიცრები რამე სამოწყალოს გადმოგვიგდებდნენ; ჩვენ უნდა შევერთდეთ ერთს კავშირში, მჭიდროდ შევკავშირდეთ და ერთად მოვითხოვოთ, რომ გვეძლეოდეს უკეთესი, ადამიანის ღირსი საჭმელი, გვეძლეოდეს უკეთესი ტანსაცმელი. მოვითხოვოთ, რომ თვეში ხუთი მანათი გვეძლეოდეს ჯამაგირად და რომ საზოგადოდ ჯარში დაწესდეს ორის წლის სამსახური. ძმებო-კაზაკებო! შევერთდეთ, შევკავშირდეთ, და თუ ჩვენ შორის მტკიცე ერთობა იქნება, მაშინ ჩვენ ყველაფერს მივაღწევთ; ვინ გადაგვეღობება წინ, ვინ დაგვიმაგრდება, თუ ჩვენ შევერთდებით?! მაშ ასე, შევერთდეთ და თამამად ვუთხრათ მუქთამჭამელ აფიცრებს: თუ თქვენ, რომელნიც სრულიად არას აკეთებთ, თვეში რამდენიმე ასი და ათასი მანათი გეკუთვნით, ნუთუ ჩვენ, კაზაკებსა და სალდათებს, რომელნიც ყველაფერს ვაკეთებთ,—ნუ თუ ჩვენ ხუთი მანათიც არ გვეკუთვნის თვეში? შევერთდეთ და მოვითხოვოთ ერთად, რომ მოისპოს ცემა-ტყეპა, მოვითხოვოთ, რომ ჩვენს ცოლებს, შვილებსა და მშობლებს შეწევნა ეძლეოდეს და ხაზინის ხარჯზე ინახავდნენ; შევერთდეთ და ყველაფერს მივაღწევთ. ერთობაშია ჩვენი ძალა, ჩვენი ხსნა! გაუმარჯოს კაზაკებისა და ჯარის-კაცთა ერთობას“.

ჯარის-კაცთა კავშირი

—

რადგანაც კავკასიის 1-ლ საპიორთა ბატალიონის ჯარის-კაცებმა არა ერთხელ გამოუცხადეს მუშათა პარტიას,—თუ ვინიცობაა ჩვენ გვიბრძანეს თქვენზე იარაღის ხმარება, ჩვენ ყველანი თქვენს საწინააღმდეგოდ გამოტანილს იარაღს ჩვენის მბრძანებლებისაკენ შევაბრუნებთ და იმათ ამოვხოცავთო, ამიტომ კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რომ კავკასიის 1-ლ საპიორთა ბატალიონის ჯარის-კაცნი ქალაქიდან გაეყვანათ და ჯარების სხვა ნაწილებში დაეფანტათ. ეს განკარგულება უკვე სისრულეში იქმნა მოყვანილი და ხსენებული ბატალიონი ტფილისიდან გაიყვანეს. რამდენიმე როტა გამოაცალკევეს ამავე მიზეზით აგრეთვე ტფილისისა და მინგრელსკი პოლკიდანაც, მაგრამ ჯარში მოძრაობა მაინც არა სცხრება. ახლახან დაარსებულს ჯარისკაცთა კავშირს ტფილისის მეციხოვნე ჯარიდან ამ ორის კვირის განმავლობაში უკვე 15,000-მდე ჯარისკაცი შეუერთდა და დღითი-დღე კიდევ ემატება ახალ-ახალი წევრები.

ჯარის-კაცთა მიტინგი

—

კვირას, 20 ნოემბერს, ხოჯივანქის სასაფლაოს იქით, მახათის მთის ძირში, ჯარის-კაცებმა მიტინგი გამართეს, რომელსაც 1.000-მდე ჯარის-კაცი დაესწრო. გარეშენი ცოტანი იყვნენ. ჯარის-კაცებმა სთხოვეს გარეშეებს, რათა არ იფიქრონ, რომ ჩვენ შეგნებით კი არა, არამედ თქვენის ჩაგონებით ვმოქმედობდეთ,—ცოტა განზე დადექითო.

ჯარის-კაცები პირველად შეეხნენ სოფლის გლეხებსა და დაწვრილებით აღნუსხეს ყველა ის გაჭირვება, სიმშილი, მუდმივი სიღარიბე, რომელიც გლეხობას დაბადებიდანვე სდევს, და შემდეგ დაახლოვებით ასე სთქვეს:

საწყალ გლეხობას აცლიან საუკეთესო შვილებს, ოჯახების ბურჯებს და მიჰყავთ ვითომდა სამშობლოს სამსახურში, ნამდვილად კი საწვალებლად. ყაზარმებში, აფიცერთა ხელში, ჩვენი ცხოვრება აუტანელია. ვცხოვრობთ მაღლებივით: არც პური, არც ხეირიანი ბინა, არც ტანსაცმელი და არავითარი ადამიანური პირობები. მერე რას გვაკეთებინებენ? გვამცირებენ, გვცემენ, ჩვენს ძმებს გვახოცინებენ. უმიზეზოდ ამოგვახოცინეს 9 იანვარს პეტერბურგში ხალხი, რომელიც პურის სათხოვნელად მეფესთან მიდიოდა. 29 აგვისტოს ხელები შეგვასვრევინეს იმ მშვიდ მლოცველების სისხლით, რომელთაც ხალხისთვის სიკეთე სურდათ. 22 ოქტომბერს, ჩვენდა სამარცხვინოდ, ამოგვაჟლეტინეს უსუსური ბავშვები და მხეცობისთვის მადლობა გადაგვიხადეს.

საპიორთა ბატალიონის ერთმა სალდათმა სთქვა: ზოგჯერ უფროსები იმდენად კადნიერდებიან, რომ ჯარს ეუბნებიან, ქართველებსა და სომხებს საკუთარი მეფე უნდათ და რუსები მათ უნდა ეწინააღმდეგოთო, მაგრამ ეს ტყუილია. მთავრობა გვატყუებს. არც ერთს ეროვნებას მეფე არ უნდა, რადგან კარგად იციან, ქართველი მეფეც საზიზღარი იქმნება, პოლონელიც, ებრაელიც და სხვანიც: ყველა მეფე საზიზღარია. აღსანიშნავია ისიც, რომ პოლკებში გვიგზავნიან მღვდლებს, რომელნიც ქრისტეს სახელით პატიოსან ხალხის ამოჟლეტას გვიქადაგებენ. ხალხს მეფე არ უნდა, მას უნდა თავისუფლება, სრული თავისუფლება რომელიც ჩვენ ამ აუტანელ მდგომარეობიდან გაგვანთავისუფლებს. მთავრობისგან ნებით არას მოველით. მაშ შევუერთდეთ იმ მშრომელს ხალხს, რომელიც ჩვენთვის იბრძვის და რომელსაც დღემდე, ჩვენის გაუგებრობისა გამო, ვხოცავდით. ახლა ნუღარ დავუჯერებთ უფროსებს, რომელნიც ხალხის ჟლეტას გვიქადაგებენ.

ჯარის კაცნი მსჯელობაში იყვნენ, რომ მიტინგთან მოვიდა ერთი აფიცერი და მეოთხე მსროლელთა ბატალიონის 12 შეიარაღებული სალდათი მოიყვანა თანა. აფიცერმა გააჩუმა ჯარის-კაცნი და უთხრა: სირცხვილია, რომ თქვენ, ჯარის კაცნი, აქ შეკრებილხართ და, წინააღმდეგ თქვენ მიერ მიცემულ ფიცისა, აქ მსჯელობთ. სალდათებმა უპასუხეს: 17 ოქტომბრის მანიფესტმა ხალხს კრების თავისუფლება მიანიჭა და ჩვენც, როგორც ადამიანებს, უფლება გვაქვს ჩვენს გასაჭირზე მსჯელობა ვიქონიოთო. როდესაც აფიცერი შეეკითხა, გარეშენი რად არიანო, სალდათებმა უპასუხეს: ისინი ყურს უგდებენ. ჩვენი მდგომარეობა ჩვენ ძალიან კარგად გვესმის, ძველებურად ვეღარ მოგვატყუებთო.

აფიცერმა მოსთხოვა მიტინგს, აქ მყოფ ჯარის-კაცების სია წარმომადგინეთო, სალდათებმა უთხრეს: მოჰყევ და დასწერეო. როდესაც აფიცერმა დაიწყო ჯარის-კაცების გვარების წერა, ერთი ჯარის-კაცი მივიდა აფიცერთან, ქაღალდი დაუხია და თვალებში ესროლა. ჯარის კაცებმა აფიცერს დაუწყეს ყვირილი: „აქედან წადი“, თორემ ხეირს არ დაგაყრითო. აფიცერი წავიდა და ჯარის კაცები უფრო მხნედ შეუდგნენ თავიანთ საქმეს.

5 საათზე დაიშალნენ. მეორე დილით, 21 ნოემბერს, უფროსებმა მიტინგში მონაწილეობის მიღებისათვის მინგრელსკისა და ტფილისის პოლკის ხუთი ჯარის-კაცი დააპატიმრეს.

21 ნოემბერს დილით ჯარის-კაცებმა მიტინგი კიდევ გამართეს.

დასასრულ მიტინგმა დაადგინა: მოითხოვოს თავისი მდგომარეობის გაუმჯობესება, დათხოვნა იმ ჯარის კაცებისა, რომელთაც სამსახური გაათავეს. ჯარის კაცთა მოთხოვნილებანი ისეთივეა, როგორიც საპიორთა მოთხოვნილებანი, რომელიც ჩვენს გაზეთში უკვე გვქონდა დაბეჭდილი. მიტინგმა დაადგინა, მოთხოვნილებანი კავკასიის ნამესტნიკს წარუდგინოს.

მიტინგმა გადასწყვიტა, განთავისუფლოს ის სალდათები, რომელნიც გუშინ დაიჭირეს, აგრეთვე საპიორთა ბატალიონის 13 სალდათი, რომელნიც მეტეხის ციხეში სხედან.

აგრეთვე გადასწყდა, მოითხოვონ, რომ მიტინგების მართვის ნება მიეცეთ.

ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა შესახებ მიტინგმა დაადგინა: სახელით მიტინგი სალამს უძღვნის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებს, რომელნიც რევოლუციონურ გზას დაადგნენ. მხოლოდ მშრომელ ხალხთან, მხოლოდ სოციალ-დემოკრატების დროშის ქვეშ, მხოლოდ დამფუძნებელ კრების განხორციელებით შეიძლება იმ გამარჯვების დამკვიდრება, რომელსაც ამჟამად ფოსტა-ტელეგრაფის მოხელენი მოიპოვებენ. ჩვენ გვწამს, რომ ჩქარა საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვები მოჰხდება და იმედი გვაქვს, რომ ამჟამად გაფიცულნი ფოსტა-ტელეგრაფის მოხელენი მაშინაც მხარს მოგვცემენო.

მიტინგმა განიხილა გაფიცვების შესახებ გამოცემული კანონები და დაადგინა: მიტინგი პროტესტს აცხადებს იმ კანონების წინააღმდეგ, რომლითაც უნდათ მშრომელ ხალხს ბრძოლის თავისუფლება შეუზღუდონ.

ჯარის კაცები ამ დღეს წავიდნენ და მინგრელსკი და ტფილისის პოლკის ყაზარმებში დაპატიმრებული სალდათები გაანთავისუფლეს.

ჯარის-კაცთა მოწოდება ალექსანდროპოლსა და განჯაში.

„ალექსანდროპოლში მეოთხე სათადარიგო ჯარის კაცებმა სვინდისიერად ვიმსახურეთ ჩვენი ვადის დასრულებამდის და გვეგონა, რომ ვადაზე გაგვანთავისუფლებდა მთავრობა, მაგრამ მთავრობამ ეს არ ისურვა და ჩვენ იძულებული შევიქენით ისევე დაგვეწყო ბრძოლა თავისუფლების მოსაპოვებლად, როგორც იბრძვის დანარჩენი რუსეთიც... გვემუქრებოდნენ დასჯას, ციმბირში გაგზავნას, მაგრამ ჩვენ მაინც მივაღწიეთ მიზანს და თავი განვანთავისუფლებინეთ. რად გვაჩერებდნენ ამდენ ხანს? ჯერ იმას გვეუბნებოდნენ, ომიანობა არისო, თუმცა კავკასიაში არავითარი ომიანობა არ იყო; მოტყუებული დავრჩით, მაგრამ მაინც ველოდით ომიანობის დასრულებას შორეულ აღმოსავლეთში. ეს ომიც დასრულდა და დაზავება დაიწყეს,—ერთი თვის ან ორი თვის შემდეგ დაგითხოვთო. როდესაც მოტყუილება აშკარა შეიქმნა და ჩვენ მართლის თქმა დავიწყეთ, ღენერლებმა სულ

ბიბლიოთეკა

სხვა რამეები გაიგონეს: „თქვენ არეულობის მოსასპობად ხართ მოწვეული, მეამბოხეთა მოსასპობად. კავკასიაში ხალხს თავის სახელმწიფოს დაარსება უნდა, რუსების განდევნა მოუნდომებიათო." პირველად, ჩვენ საუბედუროდ, დავიჯერეთ და ზოგიერთი ჩვენგანი ხალხს თოფსაც ესროდა, იმ ხალხს, რომელსაც აზრად ჰქონდა მხოლოდ წურბელა ჩინოვნიკობის მოსპობა. ბოლოს, თვალი რომ გაგვახილეს, დავინახეთ აშკარად, რომ იქ, შუა რუსეთშიაც იგივე არეულობაა, სისხლის ღვრა და კაზაკების ძალმომრეობა, ყველგან გლეხების შეუბრალებლად ხოცვა. ჩვენს თავს ვკითხეთ,—ვინ არის იქ დამნაშავე: ნუ თუ ისევ ქართველები, სომხები, პოლონელები და ებრაელები, როგორც ღენერლები გვეუბნებიან აქ კავკასიაში? რატომ სარატოვის გუბერნიაში სამხედრო წესებია შემოღებული, ნუთუ იქაც ქართველებია და ებრაელები? ნუ თუ ამ მუშა ხალხმა ორი მილიონი ადამიანი შეაცდინა? არა, ჩვენ დავრწმუნდით, რომ იქაური გლეხობა იმასვე მოითხოვს, რასაც ქართველები ითხოვენ—მიწას და თავისუფლებას! მაშინ კი გავიგეთ, რისთვის გვაჩერებდნენ აქ. ჩვენ გავიგეთ, რომ მთავრობას უნდოდა მარტო იმისთვის, რომ ჩვენისავე ძმების სისხლი დავღვაროთ... უფროსები კი რაღაც „ჯანყებულებ"ზე გვეუბნებოდნენ! განა ეს მოტყუება არ არის! გვიჩვენეთ, სად არიან ხალხის მტრები! ასე გამოდის, რომ ხალხი ხალხის მტერი და ისინი კი, ვინც ხალხს სისხლსა ღვრის, ისინი პატიოსანნი არიან! არა, არ მოგვატყუებთ! ჩვენ ვიცით ახლა, ვინ არის მტერი! ხალხის მტერია—ჩინოვნიკობა, რომელიც ხალხის ფულით ჯიბეებს იტენის. ჩვენ ვიცით, რომ ცხვრის ფარასავით მოგვყავდით იმ ხალხის ამოსახოცად, რომელსაც აღარ უნდა ამ მუქთა-ხორას რჩენა. ჯარის კაცთა ხიშტებით უნდათ დაამყარონ ისევე ძალმომრეობის და თვითნებობის ბატონობა სახელმწიფოში. ჯარის კაცებს შეცდომა მოუვიდათ, მაგრამ ხალხი ამ შეცდომას აპატიებს მათ.

მაგრამ ახლა შეცდომის გასწორებაა საჭირო. ამიერიდან გვერდში აღარ ამოვუდგებით იმ ხულიგნებს, რომელნიც ხელმწიფის სურათს ჰფარობიან და აწიოკებენ მცხოვრებლებს. ამიერიდან ვაფრთხილებთ უფროსებსა და მთავრობას, რომ ჩვენი ხიშტი და ტყვია ხულიგნების წინააღმდეგ იქნება მიმართული...

(ამის შემდეგ ჩამოთვლილია ჯარის კაცთა მოთხოვნილებანი, რომელიც წააგავს სხვა ქალაქებში წარდგენილ მოთხოვნილებებს).

ჯარი ღელავს

—„ნოვ. ჟიზნ"-ს შემდეგი დეპეშები მიუღია:

კიევი.*) ქალაქის შუა ნაწილი და პოდოლი მთავრობის ჯარს უჭირავს, პეჩორის პლაცი და ციხე-სიმაგრეები აჯანყებულთა ხელშია. ხალხს 1000 საპიორი და სალდათების ერთი ნაწილი მიემხრო. ქალაქში ბარიკადებია გაკეთებული.

ნოვოროსიისკი. ქალაქი აჯანყებულ ჯარის ხელშია. სალდათებმა მთელი ქალაქი რაიონებად დაჰყვეს. აჯანყებულნი საოცარ წეს რიგს იცავენ. ჯარი მუშებს მოუწოდებს, აჯანყდით და შემოგვიერთდითო.

ეკატერინოდარი. არსენალი აჯანყებულმა ჯარმა აიღო. ხელთ იგდეს 16000 თოფი. ნაწილი ქალაქში დაარიგეს, დანარჩენი ნოვოროსიისკის პროლეტარიატის შესაიარაღებლად გაგზავნეს.

— **კატტოვიციდან:** საზღვრების დარაჯთა რაზმი აჯანყდა. გერმანიამ საზღვრების ჯარი გააძლიერა. სოსნოვიცის ქუჩებში დიდი ბრძოლაა.

— შუა აზიაში დიდი არეულობაა. ჯარი ხალხს ემხრობა.

18 ნოემბერს, კიევში საპიორთა ბატალიონმა სარევოლუციო დროშა ააფრიალა. უფროსთა ბრძანებით ამ ბატალიონის სალდათებს ფოსტა-ტელეგრაფის გაფიცულ მოხელეთა ადგილი უნდა დაეჭირათ და მუშაობა დაეწყოთ, მაგრამ მთელმა ბატალიონმა ასეთ სამარცხვინო საქციელზე ერთხმად უარი განაცხადა. ყაზარმებში კიევის სამხედრო ოლქის უფროსი გენ. სუხომლინოვი მიეჭრა სალდათებს და მუქარა დაუწყო. ბოლოს გენერალი იქამდის მივიდა, რომ სალდათებს დაჩოქება და ბოდიშის მოხდა მოსთხოვა, მაგრამ სალდათებმა იგრიალეს: „ძმებო, იარაღი აისხითო" და თოფებს დაავლეს ხელი. წინ გენერალი გადაუდგა, მაგრამ სალდათებმა გზა გაიკაფეს და აფიცრებთან ერთად ქუჩაში გავიდნენ. წინ წითელი დროშა წაიმძღვარეს, მას მისდევდა მუსიკა, მერე—თითონ აჯანყებულნი. სალდათები ქუჩა-ქუჩა დადიოდნენ და ხალხს საბრძოლველად იწვევდნენ. ცოტა ხნის შემდეგ საპიორთა ბატალიონს აუარებელი უიარაღო ხალხი მიემხრო. უცებ სალდათებს წინიდან, გვერდებიდან და უკნიდან კაზაკებმა და სხვა სალდათებმა თოფები დაუშინეს. აჯანყებულნი მაზეში მოიმწყვდიეს და გაჟლეტას უპირობდნენ. სროლამ ერთი საათი გასტანა. აჯანყებულნი დაიშალნენ. ბრძოლის ველზე 60 მოკლული და 200 დაჭრილი დარჩა. შეიარაღებული საპიორები, მუშები და სტუდენტები ჯგუფ-ჯგუფად დადიოდნენ და ბრძოლას განაგრძობდნენ. მთელ ქალაქში საშინელი არეულობაა. ქალ. კიევსა და კიევის მაზრაში სამხედრო წესები შემოიღეს.

✦ ვარშავასა და პოლონეთში დაბანაკებულ ჯარებშიაც დიდი მღელვარებაა. ვარშავაში ლიტოვის პოლკი აჯანყდა. მას მიემხრნენ საპიორები და არტილერისტები. დაბა ველიკოვიშკაში აჯანყდა დრაგუნთა მერვე პოლკი. ლომჟის გუბ. დაბა ოსტროლენკოში დრაგუნთა მე-14 პოლკი გაიფიცა. სალდათებმა ყაზარმები დასწვეს. საპიორებმა უფროს პოლკოვნიკს სცემეს.

✦ მღელვარება ფინლანდიაში დაბანაკებულ ჯარსაც მოედო. ფინლანდიის მე-7 და მე-8 პოლკებმა მთავრობას თავისი მოთხოვნილებანი წარუდგინეს და მუქარა შეუთვალეს, ამ პოლკებს ემხრობა ვიბორგის მთელი გარნიზონი.

✦ ხმა დადის, ვითომ აჯანყებულ მატროსებს ბათუმის მახლობლად ავსტრიის სავაჭრო გემი დაეჭიროთ.

✦ ხმა დადის, ვითომ სევასტოპოლში რამდენიმე სავაჭრო გემი აფეთქებულიყვეს იმ ნაღმებისგან, რომელიც ზღვაში გაფანტა სამხედრო გემმა „ბუგ"-მა. ეს გემი სულ ნაღმებით იყო დატვირთული და განგებ ჩაიძირა, რათა ნაღმები აჯანყებულ მატროსებს არ ჩაეგდოთ ხელში.

სისხლის ღვრა ტფილისში.

(27 და 28 ნოემბერი).

საზარელ ამბებს ტფილისში ბოლო არ უჩანს. სისხლის ღვრა ერთ დღეს რომ შესწყდება, მეორე დღეს, ან მეორე საათს უფრო საშინელის სიძლიერით იჩენს ხოლმე თავს. სისხლის-ღვრა ცოტათი მხოლოდ 25 და 26 ნოემბერს შეჩერდა. ხალხი, ცოტა არ იყოს, დამშვიდდა. დუქნები და მაღაზიები ყველგან გაიღო. ყველა სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებაში მუშაობა განახლდა, ხოლო საზარელი ხმები ქალაქში უფრო და უფრო ვრცელდებოდა. ყველგან ლაპარაკობდნენ: ქალაქის მახლობლად მდებარე სოფლების თათრობა ერთიან აიბარგა და შეიარაღებული ტფილისს მოდისო.

27 ნოემბერს ნაშუადღევს ხმები გავრცელდა: დღეს ტფილისის პატრიოტების პარტია პროცესიით ქალაქში გავლას აპირობსო. ყველგან ხალხი დაიშალა. არავის სურდა ამ პროცესიის დანახვა.

ამ დღეს, საღამოს ოთხ საათამდე ქალაქში არა მომხდარა-რა, მხოლოდ 4 საათსა და 15 წუთზე თათრების უბნებიდან ქალაქის შუა ნაწილში საშინელი და ხანგრძლივი სროლა ისმოდა. როგორც გამოირკვა, ყაჩაღი თათრები ტფილისში მართლა ჩამოსულიყვნენ და სროლა აეტეხნათ. სოციალ-დემოკრატიულ პარტიის დრუჟინამ, რომელიც თათრების უბანში იდგა, ვერა გააწყორა. ბოლოს თათრებს სროლა იმათთვისაც დაეწყოთ. ამ დროს დრუჟინიდან ორი კაცი მოკვდა, ხოლო ოთხი დაიჭრა. დრუჟინა იძულებული გახდა, თავის დასაცველად თვითონაც იარაღი ეხმარა. რადგან დიდი შიში მოელოდა, დრუჟინა თათრების უბნიდან გამოვიდა, ღამით თათრების დაცემისა ყველას ეშინოდა, ამიტომ სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიის დრუჟინები თათრების უბანს გარს შემოერტყნენ, რათა თათრები აქეთ არ გამოეშვათ. ყველგან საუცხოვო პოზიციები დაიჭირეს. მათთან ჯარის-კაცთა მცირე-რიცხოვანი რაზმებიც დაბანაკებულ იქმნენ.

თათრების უბნიდან განუწყვეტლივ ისმოდა თოფების გრიალი და აქედან ჯარი პასუხს აძლევდა. საღამოს $7^1/_2$ საათზე ხშირი სროლა შესწყდა. რათა თათრებისთვის ხელი შეეშალათ, რომ აქეთ არ წამოსულიყვნენ, ქუჩებში აქა-იქ ბარიკადები გაიმართა. თათრებს ღამით ქალაქის შუა ნაწილისკენ წამოსვლა არ დაუპირებიათ, მხოლოდ მთელს ღამეს კანტი-კუნტად სროლა იყო.

ასე იყო დილამდე. დილით სროლა კიდევ გახშირდა, ხოლო შუადღის პირველ საათიდან სამ საათამდე ისევ შესუსტდა. მილიციონერთაგან მხოლოდ ორი დაიჭრა. თათრების უბნისკენ მიმართულმა ტყვიებმა რამდენიმე თათარი იმსხვერპლა.

28 ნოემბერს, 3 საათზე, ეტლით რიყისკენ წაველ. მეტეხის ციხის იქიდან დიდი სროლა იყო. ხიდთან დრუჟინა იდგა. უცებ თათრების მეჩეთს იქით ერთ სახლიდან ვიღაცამ გარედ თოფი გამოისროლა. იმავ წამს ასტყდა დიდი სროლა. ამ სახლს პაჩკობით დაუწყეს სროლა. როგორც სთქვეს, დრუჟინა და სალდათები ესროდნენ.

ხიდს იქით დრუჟინის პირველი პოზიცია იყო.

უცებ ამ მხარეზე სროლა ასტყდა. დრუჟინამ პასუხი გასცა. გაიმართა დიდი სროლა, რომელმაც ხუთ წამამდე გასტანა. სროლა დიდხანს გაგრძელდებოდა, მაგრამ პოზიციის მახლობლად სალდათებმა მისცეს „ზალპი" და ამის შემდეგ სროლა შესწყდა.

უკან დავბრუნდი. თათრების მოედანთან თითქმის ყველა შესახვევში და ქუჩაში ბარიკადები გაემართათ. ქუჩაში დაეყარათ ბოჭკები, ფიცრები, ფქვილით სავსე ტომრები, ურმები და ძველი ეტლები და შეიარაღებული სომხები იყვნენ ჩასაფრებულნი. ზოგან იდგნენ სოციალისტ-რევოლუციონერებისა და სოციალ-დემოკრატების დრუჟინები. უიარაღო ხალხს თავისთან არ აჩერებდნენ. ბევრგან ბარიკადას ახლა აკეთებდნენ. ერთ ადგილს ბარიკადებისთვის იმდენი მიწა მოეთხარათ, რომ უშველებელი ორმო გაკეთებულიყო.

ამ უბნის ყველა სახლებიდან მცხოვრებნი სხვაგან გადასულან. სახლებიდან მხოლოდ შეიარაღებული ახალგაზრდობა გამოიყურებოდა და თოფები მზად ეჭირათ.

შესახვევებში საათ-ნახევარს დავრჩით. ყოველ მხრიდან თოფების გრიალი და ტყვიების ზუზუნი ისმოდა.

ღამით სროლა ხშირი იყო, მაგრამ თათრებს თავ-დაცემა არსად დაუპირებიათ.

დილით, 29 ნოემბერს, სროლა შესწყდა. თათრების უბნისაკენ კაზაკთა პატარა რაზმები გაიგზავნა. ამავ დილით ხმა გავრცელდა, კავკასიის ნამესტნიკმა გადასწყვიტა: სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას იარაღი უკან გამოართვისო.

ქალაქში სიწყნარეა. სახელმწიფო და სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში მუშაობა დაიწყეს. დუქნები ბევრგან ღიაა.

ახალი ამბავი

გუშინ საგანგებო მატარებლით პეტერბურგს გაემგზავრნენ: ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშლად ნამყოფი თავ. დ. ზ. მელიქიშვილი, თავ. ი. გ. ჭავჭავაძე და გ. დ. ქურული. ისინი მიდიან პეტერბურგს კავკასიის ნამესტნიკის დავალებით და მონაწილეობა უნდა მიიღონ გრაფ სოლსკის კომისიაში, რომელსაც თათბირი ექნება იმის შესახებ, თუ რა ადგილი უნდა ეკუთვნონ კავკასიას **რუსეთის საკონსტიტუციო წესწყობილებაში.** გაგზავნილმა პირებმა უნდა გააცნონ კომისიას საქართველოს მდგომარეობა და მისი საჭიროებანი.

✦ მუშათა დელეგატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი აცხადებს: რადგან, დღეს თუ ხვალ მოსალოდნელია **რუსეთის სახელმწიფოს გაკოტრება,** ამიტომ მუშა ხალხსა და ღარიბებს ვურჩევთ გამოიტანონ თავიანთი ფული შემნახველ კასსებიდან და უეჭველად მოითხოვონ მხოლოდ ოქრო-ვერცხლის ფული.

✦ ფოთის ქალაქის თავი ნ. ი. ნიკოლაძე 25 ამ თვეს გემით პეტერბურგში წავიდა, **ნამესტნიკის წინადადებით.** როგორც ისმის, ნამესტნიკს შიკრიკი გაუგზავნია ფოთში ნიკოლაძესთან და უცნობებია, რომ, მინისტრთა თავმჯდომარის ვიტტეს წინადადებით," გთხოვთ წაბრძანდეთ, რაც შეიძლება მალე, პეტერბურგში, როგორც კარგი მცოდნე კავკასიისაო (ც. ფ.)

✦ გუშინ-წინ, 28 ნოემბერს, ნაძალადევში, მუშათა ორგანიზაციის ბიუროში, მილიციონერებმა მიიყვანეს ერთი უცნობი, რომელსაც ყუთით ათი ახალი სისტემის თოფი „ვინტოვკა" და ორი ათასი პატრონი მიჰქონდა. **უცნობს ჩვენება ჩამოართვეს და ხულიგანი აღმოჩნდა.**

✦ გუშინ-წინ, 28 ნოემბერს, ერევნის მოედანზე, სასტუმრო „კავკაზში" **„დაშნაკცუტუნის" პარტიის წევრებმა შეიპყრეს ერთი მაჰმადიანი;** ჩვენების ჩამორთმევის დროს თათარმა სთქვა: „მე ერევნელი ვარ, იქ სომეხ-თათართა შორის ამტყდარ ხოცვა-ჟლეტის დროს თათრები მე დავამშვიდე და ახლა აქ მოვედი თათრების დასამშვიდებლადო. გამაყოლეთ სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის მილიციონერები, გამიშვით თათრების უბანში და სრული იმედი მაქვს მშვიდობიანობა ჩამოვაგდოო", მაგრამ სომხებმა ეს კაცი საეჭვოდ იცნეს და დაატყვევეს.

✦ გუშინ ქართველ საზოგადოების კრებამ აირჩია **რვა კაცი ბორჩალოს მაზრისკენ გასაგზავნად.** იმათ უნდა მშვიდობიან გზაზე დააყენონ აღელვებული თათრები. ამ წარმომადგენლებს თან უნდა წაჰყვეს ოთხი თათრის ბეგი და დამცველი რაზმი. ქართველ წარმომადგენლებს თან ეყოლებათ ერთი ექიმი და სამი სანიტარი წამლებით. თავად-აზნაურობამ ამ მოგზაურობისათვის გადასდო ორმოცდა ათი თუმანი.

✦ ტფილისის რამდენისამე სახელმწიფო დაწესებულების მოხელეები ტფილისში დაარსებულ მოხელეთა კავშირს არ მიემხრნენ და **ამ საქციელისთვის თავიანთ უფროსების მიერ დაჯილდოვებულ იქმნენ.** ასეთივე გზა ტფილისის საგუბერნიო სამმართველოს მოხელეებმაც ამოირჩიეს. პირველად განიზრახეს კავშირში მონაწილეობის მიღება და თავიანთ მოთხოვნილებათა კავშირში წარდგენა, მაგრამ ახლა დაადგინეს, მოხელეთა კავშირში არავითარი მონაწილეობა არ მიიღონ და, გუბერნატორის პირით, კავკასიის ნამესტნიკს სთხოვენ ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესება.

✦ ორშაბათს, 28 ნოემბერს, სომეხთა რევ. ფედერაციის ტფილისის ცენტრალურმა კომიტეტმა **შემდეგის შინაარსის ფურცლები გამოსცა:** „გუშინ, ნაშუადღევს $4^1/_2$ საათზე, თათრები მოღალატურად თავს დაეცნენ სოციალ-დემოკრატების დრუჟინას, რომელიც იბრძვის მშვიდობიანობის იდეისათვის. თავდაცემის შედეგი იყო—რამდენიმე მსხვერპლი. მშვიდობიანობის თეთრმა ბაირაღებმაც ვერ შეაჩერა მკვლელები. სომეხთა რევ. ფედერაცია უცხადებს თანაგრძნობას დრუჟინის მამაც წევრებს, რომელნიც მშვიდობიანობის იდეისათვის მოკვდნენ. დიდება და პატივი დრუჟინის დახოცილ წევრებს. მათი ხსოვნა წაუშლელი დარჩება მშვიდობიანობის მოყვარე სომეხ ხალხის გულში".

✦ ნაფიც ვექილის თანაშემწე ნიკოლოზ ელიავი კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ დაამტკიცა **გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკ"**-ის პასუხისმგებელ რედაქტორად, ნაცვლად ნ. ი. თამამშევისა.

✦ ამ დღეებში ბჭობა ჰქონდა კავკასიის უმაღლეს მთავრობას, რომელმაც დაადგინა: რადგანაც აფიცერთა კრებამ მოითხოვა, რომ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ტფილისის მუშათა ორგანიზაციას დაუყოვნებლივ ჩამოერთვას ის 500 ბერდანის თოფი, რომელიც ნამესტნიკმა გადასცა, ამიერიდან ტფილისის მცხოვრებთაგანს **არავის არ მიეცეს არც ერთი თოფი.** ამ დადგენილების ძალით, შეჩერებულ იქმნა ტფილისის მაზრის ზოგიერთ სოფლის გლეხთათვის იარაღის დარიგება.

✦ **გაზ. „ჩერნომორსკი ვესტნიკი" იუწყება:** ბათუმში მოვიდა გემი „ცესარევიჩი გიორგი", რომლის მგზავრებმაც ამბავი მოიტანეს, რომ დაპატიმრებული ლეიტენანტი შმიდტი, აჯანყებულ მატროსების სარდალი, ჯავშნოსან „როსტისლავ"-ზე გადაიყვანესო. მისი შვილი, 15 წლის რეალისტი, გაანთავისუფლეს. დაპატიმრებულთა შორის იმყოფება ექიმი სოლოვეიჩიკი. დაპატიმრებულია 1,500 მატროსი და ბევრიც ამოწყვეტილია ბრესტის პოლკის მიერ. სევასტოპოლში სიწყნარეა, ცხოვრება თავის კალაპოტში ჩადგაო.

✦ ხუთშაბათს, 1-ლ დეკემბერს, ნაძალადევში **დანიშნულია მიტინგი ტფილისის ფოტოგრაფიებში მოსამსახურეთა.** მიტინგმა უნდა შეიმუშაოს ფოტოგრაფიაში მომუშავეთა ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ მოთხოვნილებანი და წარუდგინოს ფოტოგრაფიის პატრონთ. მიტინგი დილის 10 საათისთვისაა დანიშნული.

✦ კვირას, 27 ნოემბერს, შუმის ქუჩაზე, ხარაზოვის სახლებში (მე-6 საპოლიციო უბანში) მცხოვრებ ქვრივის კეკელა ხარაზოვის სახლში შეცვივნულა ხულიგანთა ბრბო, ყველაფერი რაც წასაღები ყოფილა წაუღიათ, რაც არა-და—დაუმტვრევიათ. რადგანაც ძლიერ შიშიანობა იყო, ოჯახის წევრნი ოთხშაბათს გათენებისას მეზობლებთან გადახიზნულან საბან-მოხვეულნი და სახლი დაუკეტიათ. კვირას გაუგიათ სახლის გაძარცვის ამბავი და მისულან სახლში, მაგრამ საცვლებიც კი არ დახვედრიათ.

✦ გუშინ, 29 ნოემბერს, ელექტრონის ტრამვაის **ვატმან-კონდუქტორები** დილის 11 საათამდე სამუშაოდ არ გამოვიდნენ. მიზეზი ის იყო, რომ მათ თათბირი ჰქონდათ, დირექციასთან რომელსაც წარუდგინეს თავისი წინანდელი მოთხოვნილებები. დირექციამ გადაჭრით პასუხი არ მისცა მათ და განუცხადა: ამოირჩიეთ კომისია და მას დღეს, საღამოს, ქალაქის საბჭოში მოველაპარაკებიო. მომუშავენი სხვათა შორის თხოულობენ რვა საათზე ზედმეტ ნამუშავარ საათების ფულსაც იმ დღიდან, რა დღიდანაც იმათ მოითხოვეს რვა საათის სამუშაო დღე. წინააღმდეგ შემთხვევაში დროს შეგირჩევთ და გავიფიცებითო.

✦ მუშათა ორგანიზაციის დელეგატი განჯიდან აუწყებს გაზეთ „კ. რ. ლ."-ს, რომ იქ მცხოვრები თათარ-სომხები ჯერ არ შერიგებულან, ვინაიდან **სომხები თათრებს ოთხ მილიონ კონტრიბუციასა სთხოვენო.**

✦ გუშინ მოხსენებული გვქონდა, რომ კაზაკებისაგან დაჭრილ ბაბილოძის მილიციონერ-ამხანაგისა ვერა გავიგეთ-რა, არ ვიცით, ცოცხალია თუ მკვდარიო. როგორც დანამდვილებით გავიგეთ, მოხსენებული მილიციონერი გიორგი **მანჯავიძე ცოცხალი ყოფილა,** მხოლოდ კაზაკებს თავი გაუტეხნიათ თოფის კონდახით და თავიანთ ყაზარმაში დაუპატიმრებიათ, სადაც გუშინდლამდე ყოფილა დაკავებული.

✦ გუშინ, 29 ნოემბერს, შუადღის სამ საათზე, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად სომხებმა **მოჰკლეს ორი მაჰმადიანი,** რომელნიც ტრამვაის ვაგონით მიდიოდნენ; მსუბუქად დაიჭრა აგრეთვე ერთი ქართველი. დაფრთხალი ხალხი აქეთ-იქით გაიფანტა. მოკლულ თათრების გვამი და დაჭრილი ქართველი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

✦ ორშაბათს, 28 ნოემბერს, საღამო ხანზე, მე-8-ე საპოლიციო ნაწილში **მილიციონერებმა დაატყვევეს ეტლით მიმავალი** ერთი უცნობი კაცი, რომელსაც 30-ზე მეტი ბერდანის თოფი მიჰქონდა. მილიციონერები შეეკითხნენ, სად მიგაქვს ეს თოფებიო. მან განაცხადა, ავლაბარში მიმაქვსო, ხოლო ვისთან, ან რა ადგილას, არ დაუსახელებია. ამიტომ მილიციონერებმა დაატყვევეს ეს კაცი და ტფილისის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ორგანიზაციას გადასცეს.

✦ დღეს, დილის 11 საათზე, **დანიშნულია სხდომა იმ ბიუროსი** და კომისიის წევრებისა, რომელნიც აირჩია 21 ნოემბერს ქართველ მასწავლებელთა კრებამ **ქართველ პედაგოგთა საზოგადოების წესდების შესამუშავებლად** და სკოლის რეორგანიზაციისათვის მასალის შესაკრებად. სხდომა დანიშნულია ზუბალაშვილის სახლში, „ნაკადულის" რედაქციის სადგომში, გოლოვინის პროსპექტზე. საჭიროა, სხდომას ბიუროს და კომისიის ყველა წევრები დაესწრნენ.

✦ 24 ნოემბერს, საღამოს შვიდ საათზე, სასულიერო სასწავლებლის წინ ერთმა სომეხმა **ორჯელ ჰაერში რევოლვერი გაისროლა.** შეშინებული მცხოვრებნი გარედ გამოსცვივდნენ. უცნობი შეიპყრო ავჭალის ქუჩაზე მოდარაჯე მილიციამ და ჰკითხა: რად ისროდიო; მან განაცხადა: ეს არის, ახლა ქუჩაზე მივდიოდი და იქიდან ვიღამაც რევოლვერი დამახალა და სამაგიეროდ მეორე მე ვესროლეო. რადგან მილიციონერებმა გაარჩიეს, რომ რევოლვერი ორჯელვე იმან გაისროლა და ეტლიდან არავის უსვრია, მოსთხოვეს: რევოლვერი გვაჩვენე და, თუ ერთის ტყვიის მეტი არ არის გასროლილი, შეგტყობთო. მაგრამ იმან განაცხადა, რომ რევოლვერი სულ დავცალე და სხვას გადავეციო. ეს სომეხი ნოქრად ყოფილა „დონნერ და ლეიტც"-თან. იგი მილიციამ შეიპყრო და სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციას გადასცა მსჯავრის დასადებად.

✦ 19-21 ნოემბერს პეტერბურგში **არა-რუსთა კრება** მოხდა. მოგვყავს კრების რეზოლუცია: „ადერბეიჯანებისა, სომხებისა, ბელორუსებისა, ქართველებისა, ებრაელებისა, ყირგიზებისა, ლატიშებისა, ლიტველებისა, პოლონელებისა, თათრებისა, მალოროსებისა და ესტების წარმომადგენლები პეტერბურგში შევიკრიბენით, არა-რუსთა ეროვნულ მდგომარეობის შესახებ მოხსენებები მოვისმინეთ, რუსეთის თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობა ავწონ-დავწონეთ და შემდეგი დასკვნა გამოვიყვანეთ: 1) გამანთავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც ნიადაგს ამზადებს რუსეთის იმპერიის წყობილების გამოსაცვლელად დემოკრატიულ პრინციპებზე, რუსეთის ყველა ეროვნებათა საერთო საქმეა; 2) ეს ერები დაინტერესებულნი არიან, რომ მომავალმა წყობილებამ უზრუნველჰყოს თავისუფლება მათის სულიერ და ქონებრივ განვითარებისა; 3) კრება აღიარებს, რომ შეუფერებელი და შეუძლებელია გადამეტებული ცენტრალიზაცია კანონმდებლობისა, მართვა გამგეობისა და სახელმწიფოს სხვადასხვა ფუნქციებისა უზარმაზარ რუსეთში, სადაც ერთმანეთში გადახლართულია სხვადასხვაობა ეკონომიური, სარწმუნოებრივი და ეროვნული; 4) კრება აღიარებს, რომ სახელმწიფოს დეცენტრალიზაცია და ხალხის ბატონობა ავტონომიურ-ფედერატიულ პრინციპით რუსეთის ყველა ერთა საქმეს შეადგენს; 5) დასაცავად იმ ერებისა, რომელთაც საკუთარი ტერიტორია არა აქვთ, და იმ ერებისა, რომელნიც ამა თუ იმ ტერიტორიაზე უმცირესობას შეადგენენ, ყოველ ამა თუ იმ ტერიტორიისთვის სახელმწიფოს საერთო კონსტიტუციამ ისეთი წესწყობილება უნდა შემოიღოს, რომელიც უზრუნველ ჰყოფს უმცირესობის ინტერესებისა და ეროვნულ უფლებათა ხელუხლებლობას. ზემოდ აღნიშნულ მიზნის განსახორციელებლად კრებას საჭიროდ მიაჩნია დაარსება ეროვნებათა კავშირისა, რომელიც ეროვნებებს ერთმანეთს დაუკავშირებს და მათ ეროვნულ ინტერესებს დაიცავს".

ბიუროს ახლო მომავალში დელეგატთა კრების მოწვევა დაევალა.

✦ ორშაბათს, 28 ნოემბერს, **თავი მოიყარეს ავჭალის ქუჩის მცხოვრებლებმა** და ბჭობა ჰქონდათ იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებანი მიეღოთ ხულიგანთა წინააღმდეგ, რომელნიც ღამ-ღამობით ნავარდობენ. კრებაზე სთქვეს: წუხელის, ღამით, ელისაბედის ქუჩაზე მცხოვრებლებმა შეიპყრეს ორი ხულიგანი, რომელთაც ქუჩაზე რამდენიმე სანავთიო ნავთი მიჰქონდათო. ეჭვი არ არის, მათ ხულიგნური აზრი ჰქონდათ:—რომელიმე სახლისთვის ცეცხლის წაკიდებაო. ღამით, პირველ საათზე, მცხოვრებლებმა აგრეთვე დაიჭირეს მალაკნის ერთი ქალი, რომელსაც სპილენძის სარძევეთი ნავთი მიჰქონდა. კრებამ დაადგინა: ყოველგვარ უბედურების თავიდან ასაცილებლად დაარსონ თავის დამცველი მილიცია. თითოეულ სახლიდან ერთი კაცი უნდა გამოდიოდეს ყოველთვის და ქუჩას ყარაულობდნენ. დადგენილება ამავ დღეს სისრულეში მოიყვანეს. ბევრ სახლიდან მოხუცნიც გამოვიდნენ და იარაღით ხელში ქუჩას ყარაულობდნენ.

✦ ოზურგეთის მაზრის სამმართველოს საგუბერნიო ადმინისტრაციამ განუმარტა, რომ მიწერ-მოწერა **მაზრის სამმართველოსა და სოფლის კანცელარიებს შორის** ქართულ ენაზე შეუძლიან იქონიონ და ეს საჭიროც არისო.

✦ **24** ნოემბერს ტფილისის სამხედრო საოლქო სასამართლომ, პროკურორის პროტესტის გამო, **ხელმეორედ გაარჩია ბაშკადიკლარის პოლკის ოფიცრის ვლ. სულაქველიძის საქმე.** საბრალმდებლო ოქმიდან სჩანს, რომ ბ-ნი ვლ. სულაქველიძე, მთავრობის განკარგულების თანახმად, 17 აპრილს 1905 წელს შორეულ-აღმოსავლეთის ომში უნდა წასულიყო, მაგრამ ამ დღიდან 17 აპრილამდე ქუთაისში იმალებოდა. სასამართლომ პირველად ბ-ნი სულაქველიძე გაამართლა, ხოლო მეორედ, 24 ნოემბერს, გადაუწყვიტა სამხედრო ჰაუპტვახტში სამის თვით დაპატიმრება. სასამართლომ ამასთანავე დაადგინა: შუამდგომლობა აღიძრას ხელმწიფის წინაშე, რომ სამის თვის მაგივრად ორს კვირას იყოს დაპატიმრებული.

✦ სამეგრელოდან მოსულებმა გვაამბეს, რომ დ. ნოქალაქევიდან დაწყებული ს. ბანძა, ურიანთ-კარი, ძველი სენაკი და მისს ახლო-მახლო სოფლები შეერთდნენ და სოფლებიდან სტრაჟნიკები და კაზაკები განდევნესო. ახალ-სენაკის ადმინისტრაციამ შესაფერი ზომები მიიღო: ს. ბანძაში სტრაჟნიკები და კაზაკები გაგზავნა, მაგრამ იქ ხალხი მაგრად დაუხვდა მათ და ყველანი უკან გააბრუნა. უკან გაბრუნებული სტრაჟნიკები და კაზაკები გზა-გზა ვისაც შეხვდებოდნენ—ან ძარცვავდნენ და ან კლავდნენო. მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი თურმე ბევრია.

✦ გუშინ შუადღის მატარებლით პეტერბურგში წავიდა საქართველოს ექსარხოსი—ნიკოლოზი. ექსარხოსს ქართველ სამღვდელოების მოთხოვნილებები მიაქვს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ.

✦ ნავთლუღიდან დაწყებული სადგურ სანაინამდე (ყარაიაზის გზა) თითქმის მთელი ლაინდაგი სულ თათრების ხელშია. გზადაგზა აჩერებენ მატარებლებს, სხნიან ორთქლმავალებს და მგზავრებს ძარცვავენ და სომეხ მგზავრებს იარაღს ართმევენ. სანაინიდან ალექსანდროპოლამდე კი ლაინდაგი სულ სომხების ხელშია და იმასვე სჩადიან, რასაც თათრები.

რუსეთი

საზღვარგარეთ გარდაიცვალა გენ. ცერპიცკი, რომელმაც ამას წინად სამხედრო სამინისტროს „საიდუმლოებათა" გამომჟღავნება დაიწყო გაზეთში. სამწუხაროა, რომ ცერპიცკის მხედრობის ყველა ვერაგობის გამოქვეყნება არ დასცალდა.

✦ 20 ნოემბერს გარდაიცვალა „გმირი" მუკდენისა და ავტორი ოდესის აკლებისა გენ. კაულბარსი.

✦ 22 ნოემბერს სარატოვში გუბერნატორის ზალაში უცნობმა ქალმა სამის ტყვიით მოჰკლა სარატოვის გენ. გუბერნატორი სახაროვი, რომელიც პეტერბურგიდან გლეხთა მოძრაობის გამო ჩასაქრობად იყო გამოგზავნილი. მკვლელი დაიჭირეს. მან განაცხადა: სახაროვი სოციალისტ-რევოლუციონერთა მებრძოლ რაზმის დადგენილებით მოვკალიო.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

---

*) ეს აჯანყება მოხდა მას შემდეგ, რაც კაზაკებმა საპიორები გაჰფანტეს.

ელექტრომბეჭდავი „ივერია", ფრეილინის ქ., № 5.